<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---მაისი 2019 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ერთი გასასვლელისთვის რეჟისორ გიორგი დანელიას სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩის მონაკვეთს, მასთან არსებულ უსახელო ქუჩას და ერთ გასასვლელს მიენიჭოს რეჟისორ გიორგი დანელიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

I ეაკ
ქ. ოლიმპიადის ბულვარი
ოლიმპიადის ბულვარი
ოლიმპიადის ბულვარი

გიორგი დანელია

(1930-2019)

რეჟისორი, პუბლიცისტი, სცენარისტი, მსახიობი, რუსეთის კინემატოგრაფიული ხელოვნების აკადემიის აკადემიკოსი.

დაიბადა თბილისში. დაამთავრა მოსკოვის არქიტექტურული ინსტიტუტი 1955 წელს, 1959 წელს მოსკოვის უმაღლესი სარეჟისორო კურსები. 1959 წელს მოსკოვის კინოსტუდიის „მოსფილმის“ რეჟისორად იწყებს მუშაობას. მისი ყველაზე პოპულარული ფილმებია „მიმინო“ (1977), „შემოდგომის მარათონი“ (1980), „ქინ-ძა-ძა“ (1986). მის შემოქმედებას ახასიათებს ჭეშმარიტად ღრმა სატირა, გააზრებული გროტესკი, დახვეწილი ლირიზმი. იყო ტრადიციების დაცვისა და ახალი კინოს განვითარების გიორგი დანელიას ფონდის პრეზიდენტი. 1978 წელს მიიღო სსრკ სახელმწიფო პრემია, 1981 წელს ძმები ვასილიევების სახელობის რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემია, 1996 წელს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემია. 1984 წელს თბილისის საპატიო მოქალაქე გახდა და 1989 წელს მიენიჭა სსრკ სახალხო არტისტის წოდება.

გარდაიცვალა 2019 წელს.დაკრძალულია მოსკოვში, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე.